

ფროეპე

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შპსი განცხადების

ფირმა ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივს ცი-
ცეროთი—5 კაპ. პატარათა—4 კაპ

რედაქციის უფლება აქვს გა-
სწოროს და შეამოკლოს დასხვად
გაყოფაწილი სტატეები. დაუბეჭდე-
ლი სტატეები ავტორს არ დაუბრუნ-
დება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად

რედაქცია: სკოლოკზე, შალის
ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქ-
ციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ
Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელი წლი-
ს. 8 მ., ნახევარ წლის — 5 მ., ხ-
მისთვის — 3 მ., ერთი თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად

განცხადება

მაქვს პატივი განუცხადო თქ-
ვის კატივადგომლ ვაჭრებს, რომ
მე მოვიტანე პარიჟიდან
ყოველ გვარი საქონლის
ნიმუშები, რომლებზედაც

კარგის
პირობებით.

მსურველთა უფასოდ ნახონ ეს
ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში-
№ 181, სადაც იმხმება გამოფენი-
ლი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა:

Gilles et Iohan Chandons.
წარმომადგენელი ზ. იეზოვი.
(12—6)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—შალის (ხადო-
ვი) ქუჩაზე, შ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-
лисъ. Въ редакцію газ. „Дროзба“.

ფასი ნახევარ წლის, გაზეთისა, ე. ი.
1 იულიდან წლის დამლევამდე, გა-
ზეთის—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გაგლინი, 21 ივნისს. ამბობენ, რომ
ფინანსის მინისტრად დანიშნება ფინან-
სის მინისტრის ამხანაგ ბიტურ; სარ-
წმუნოებთა მინისტრად სილოვის ობერ-
პრეზიდენტი; პუტკამერ მკურნოვის
მინისტრად დანიშნება ზეიდვიცი ან
ლევიუსი.

ნიუ-იორკი, 21 ივნისს. პორტო-
პრენსში ხალხში არეულობა მოხდა.
აჯანყებულებმა სენატს თოფები დაუ-
შინეს. სენატორები მიხრიან. ძალიან
ბევრია დაჭრილი. ბრეტონობა ჯერ კი-
დე არ დაწყებულა.

ალექსანდრია (ეგვიპტი), 21 თბაფეს.
შილონის შემდეგ ახალი სამინისტრო
დანიშნა. პლინიერმა შეიტანა სამსახუ-
რილად დაფინანსების ქალაქი. მეროპის
უმთავრესი სახელმწიფოები დანიშნვენ
დელეგატებს, რომელთაც მინდობილი
ექნებათ ეგვიპტის ფინანსების გაუმჯობე-
ლობაზე თვალ-ყური იკონიონ.

კატაგურის ბირჟა, 22 ივნისს

(ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბრეჟები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	95—25
მეორე — — —	95 —
მესამე — — —	94—48
მეოთხე — — —	95 —
აღმოსავლეთის პირ.	92—37
აღმოსავლეთის მორე	92—50
აღმოსავლეთის, მესამე	91—87
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8—37
თფილ. თვალ-ზან. ბანკის	
გირაოს ფურცელი — — —	
შინაგანი 5% ტესის ბილეთები	მან. კაპ.

პირველი სესხის — — —	239—25
მეორე სესხის — — —	235—25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — —	23—75 პენსი
ამსტერდამი — — —	119—50 ცენტი
ბერლინი — — —	202—50 ჰფენიგი
პარიჟი — — —	250—75 სანტიმი
პავიის კერასინი — — —	

საქართველო

მთიულეების გადასახლება

ჩვენს გაზეთში იყო აქას წიგანთ და-
ბეჭდილი პეტერბურგიდან მიღებული
შემდეგი ტელეგრაფი:

„ზაზვას“ მოლოსში იწვიებინ: ამასიამ,
რომელიც დაიშული იყო მთავრობისგან ქა-
კასის მთიულეების გადასახლების თაობაზე, ამ
დღეებში გაათავა თავის საქმე და შემდეგი წე-
სები დაუდგინა ამ საგნის შესახებ:

„ა“. ქაქასის მთიულეებს გადასახლებენ
რუსეთის შუაგულ გუბერნიებში მთიულეთში და;
ოჯანობა კი გადასახლებენ, როცა დიდი საქი-
როება მოითხოვს, ისიც თითოეულ ოჯახს ცალ-

„ბ“. მთიულეებს წაიყვანენ ეტაპით (ქვეითად,
საღდათებით) და დაასახლებენ იქ, სადაც შინა-
გან საქმეთა სამინისტრო უჩვენებს;

„ბ“. მთიულეებს, რომელთაც მიწის მუშაობა
შეუძლიანთ, ტომოვისა და სარატოვის გუბერ-
ნიებში დასახლებენ; ვისაც მიწის მუშაობა
არ შეუძლიანთ, იმათ კი დასახლებენ ქალა-
ქებში;

„დ“. სოფლებში დასახლებულებს პირველი
ორი წლის განმავლობაში და ქალაქებში კი
მუდამ ყველგან ხაზინადამ სახარჯოთ ფული
ორი იმდენი, რამდენიც ტულადებს აქვთ; ქალა-
ქებში დასახლებულებს ამას გარდა სახლის ქი-
რა მიეცემათ თვეში მანეთ-ნახევარი;

„მ“. მთელი სოფლები იქმნენ ერთად გარ-
დასახლებულნი, ამათ გაგზავნიან ზღვით აღმო-
სავლეთ ციმბირში“.

როგორც ხედავთ, ეს ცნობა ძალიან
ყრუთ არის მოყვანილი: გარკვევით ვერ
შეიტყობს წამყობველ—საზოგადოთ
ქაქასიის ყველა მთიულეების გადასახ-
ლებას შეეხება ეს ამბავი, თუ მხოლოდ
იმ მთიულეებს, რომელნიც აჯანყებულან
ანუ შემდეგში აჯანყდებიან, რაიმე უწყე-
სობებს მოახდინენ, მთავრობის წინააღ-
მდეგობას და სხ“.

რასაკვირველია, ძნელად წარმოსად-
გენი და დასაჯერებელია, რომ ეს გარ-
დაწყვეტილება მთავრობი აგან დანიშ-
ნულის კომისიისა საზოგადოთ მთელ
მთიულ ხალხებს შეეხებოდეს. ძნელად
დასაჯერებელია, რომ მთავრობამ მოუს-
ვას ხელი რამდენიმე ათი და ასი ათასს
მთიულს, მტყუანს და მართალს, და ყვე-
ლა რუსეთის შუაგულ გუბერნიებში
ანუ აღმოსავლეთ ციმბირში გარდასახ-
ლოს.

ძნელად დასაჯერებელია ეს იქითაც,
რომ მთიულეთის სხვა ქვეყანაში გადასახ-
ლება, და განსაკუთრებით რუსეთის ვე-
რანა და უდაბნო ადგილებში გაგზავნა
და სსიკედილოთ განწირვა ერთია. ან
რად უნდა გადასახლონ, რად უნდა
მოაშორონ თავის სამშობლო მთებს,
რად უნდა დასაჯონ ასე მწარედ ის მთი-
ულეები, რომელთაც არაერთარი დანა-
შაული, არაერთარი ურჩობა და წინააღ-
მდეგობა არ მიუძღვისთ მთავრობის წი-
ნაშე?

ამაირად ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ,
რომ შემომოყვანილი განკარგულება სა-
ზოგადოთ ქაქასიის ყველა მთიულს
ხალხებს შეეხებოდეს.
აუღოთ მეორე მხარე ამ ცნობისა.
მთე ყველას არა, მაშასადამე ეს კა-
ნონი უნდა შეეხებოდეს იმ მთიულეებს



რომელიც მთავრობის წინააღმდეგობას ანუ სხვა რამე დანაშაულობას ჩიუდნენ.

ჩვენი აზრით, ამგვარი დამნაშავე მთიულეების საერთოდ გადასახლება არ იქნება სამართლიანობა, ვერც ამით მიღწევს მთავრობა იმ საწადელს, რომელსაც ის მისდევს, ვერც ეს მოუტანს სახელმწიფო ინტერესს, ვნებას გარდა, სხვა რაიმე სარგებლობას.

ათასი საბუთის მოყვანა შეიძლება ამის დასამტკიცებლად.

პირველი და უმთავრესი საბუთი ის იქნება, რომ ეს ამგვარი დასჯა გაუნათლებელ და უმეცარ მთიულეებისათვის ერობა, მიძიმე, სასტიკი და შეუბრალებელი დასჯა იქნება. როდესაც რომელსამე მაზრაში ანუ სოფელში, ვსთქვათ, აჯანყება და სხვა ამგვარი უწყისობა მოხდება, ყველამ იცის, რომ აჯანყებულები ყველა ერთნაირად არ არიან დამნაშავენი; ამათ, უეჭველია, ჰყავთ თითო-ორიოლა მოთავე, რომელნიც უწყისობის მოხდენას უქადაგებს დანარჩენებს და რომელთაც ეს დანარჩენები უგონებენ მიჰყვებიან. ნუ თუ სამართლიანობა იქნება, რომ ის მოთავენი, ის უწყისობის ამტენნი და ცხვრებივით ამათ ამყარონი (ინი იცის ხანდახან როგორის ძალდატანებით) ნუ თუ სამართლიანობა იქნება, რომ ეს ორივენი ერთნაირად იქმნენ დასჯილნი, რომ ორთავეს ერთი-და-იგივე გზა უჩვენონ შუაგულ რუსეთისა და სიმბირისა. შოველი კანონი გაარჩევს საქმის დამყებს, მოთავეს ამყარისაგან.

ამ შემთხვევაშიაც გარჩევა ეჭირება. დასაჯეთ სასტიკად, გაგზავნეთ, თუ მაინცა-და-მაინც საჭიროა, მოთავეები სიმბირში, მაგრამ დანარჩენები, რომლებსაც მხოლოდ ის დანაშაული აქვთ, რომ ამ მოთავეების ქადაგებას და შეცდენას ვერ აღუდგნენ წინ, ამათ უფრო მსუბუქი, უფრო კაცობრიული დასჯელი მიაყენეთ. ორივე ერთ ტაფაზე არ უნდა დაიწვას ესენი.

ძამისიის გადაწყვეტილობა ჯერ მთავრობას არ მიუღია, არ დაუმტკიცებია, ჯერ კანონად არ გარდაქცეულა; ამიტომ ყველას სრული უფლება აქვს იმაზე თავის აზრი თავისუფლად გამოაცხადოს. ჩვენც, ამ მოსაზრებით, ვაცხადებო საზოგადოთ გადასახლებაზედ ჩვენს აზრს:

ეს ღონის-ძიება (მთიულეების გადასახლება) ჩვენ არ მაგვანია რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის სანატრელ და სასარგებლო ღონის-ძიებად. მამობთ, თუნდაც სამართლიანობა იყვეს ბრალეულისა უბრალოს ყველასი გადასახლება, მაინც ეს ღონის-ძიება რუსეთის სახელმწიფოს დიდს ზარალს მოუტანს, უკან დასწევს ერთი მისი მხრის ეკონომიურ წარმატებისა და კეთილ-დღეობის საქმეს.

მხოლოდ გონებით ბრმა არ დაგვეთანხმება ჩვენ იმაზედ, რომ იმ სასტიკი მაგალითების შემდეგ, რომელიც გამოაცადეს მთიულეებმა ამ ომის ღრს და აღრეც რამდენჯერმე, როცა აჯანყდნენ და ამ აჯანყებით ვერაფერი ვერ გაიტანეს, გარდა იმისა, რომ შეუბრალებელად იყვნენ დასჯილნი, ვამბობთ, მხოლოდ

ბრმა არ დაგვეთანხმება იმაზე, რომ, ამ მაგალითების შემდეგ, ისინი კიდევ ოდესმე განიზრახვენ აჯანყებასა და მთავრობის წინააღმდეგობას. ამ აჯანყებისათვის ათასობით გაიგზავნენ რუსეთში და სიმბირში, ათასობით გზაზე და ადგილობრივ იყვნენ დახოცილნი; ისე ოჯახი არ არის, რომ ერთი კაცი მაინც არ აკლდეს. მაინც დარჩნენ, იმათ კარგათ ეხსოვებათ—თუ რა არის რუსის მთავრობის ურჩობა, შთამომავლობიდან შთამომავალზე გადავა ის სასტიკი პედი, რომელიც იმათ ეწვიათ რამდენჯერმე რუსის წინააღმდეგობისათვის.

და ამის შემდეგ რაღა მოსალოდნელია, რომ მთიულეებმა კიდევ გაბედონ წინააღმდეგობა, აჯანყება? პარტუყვები ხომ არ არიან,—განა ვერ დაინახეს, განა ვერ დარწმუნდნენ, რომ ვერა გაუვიდათ-რა, რომ გარეშე მხრიდამ იმათ არა ეშველებათ-რა და მშვიდობიანობა, დამორჩილება არის იმათი ბედი?

მაშ რაღა საჭიროა იმ ხალხის გადასახლება, ასე სასტიკად დასჯა, რომე დარწმუნდა, რომ მშვიდობიანობა—სიხლე არის იმისთვის, და წინააღმდეგობა კი—სიკვდილი?

მაგრამ ამას გარდა ბევრი სხვა მოსაზრებაც არის, რომელიც გვარწმუნებს, რომ ძავეკისის მთიულეების გადასახლება არის უსამართლობა, ერთობ მომეტებული სასტიკობა და დავიწყება სახელმწიფო ინტერესისა. ამ მოსაზრებებს ჩვენ შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

(დასასრული შემდეგში)

წერილი რედაქტორთან

შფალო რედაქტორო! მიქვენს პატივცემულს გაზეთში (№ 125) წაეკითხეთ წერილი უსახელო და უგვარო ავტორისა შოთიღგან შესახებ შოთის წინანდელ მღვდლისა მამა ბ. ბ. ბ.—ისა. ძორრესპონდენტი მოგვიხრობს, რომ შოთში გადაცვლილა ერთი ვილაც დედაკაცი, წირვა სდომებიათ და ეკლესიაში შესამოსი და სხვა ნივთიული ევლარ უზოვნიათ და აბრალებენ ამ ხსენებულს მამა ბ.—ს—ს, ვითომც ამას სუყოველივე ეკლესიის ნივთიული მოგვროვებინოს და წამოეღოს აქა, ბათუმის ახლად აშენებულ ეკლესიისათვის.

მე, როგორათაც მთილისის მცხოვრებელი შოთში მალ-მალ მოსიარულე და აწ დროებით ბათუმში მყოფი ერთი სომეხთაგანი, შემიძლიან დავარწმუნო მკითხველნი—თუ საქმე რაში მდგომარეობს:

როდესაც შოთის ეკლესია აკურთხეს და ამ ეკლესიაში გააშწესეს მღვდლათ მამა ბ., რადგანაც ეკლესიას სრულებით არაფრისგან არაფერი ქონდა სამკაული თუ ნივთიული, რომელიც ყოველად აუცილებელი საჭირო იყო, მამა ბ. წამოვიდა მთილისს და აქედგან-იქიდან მებობრებში ცოტაოდენი უფრო საჭირო ნივთები მოაგროვა შოთის ეკლესიისა-

თის. სხვათა შორის, ჩემს თანაგვარს წრებით, ეაჭრება ბ. შ—ევმა უქრდა ერთი კარგი (სურჩარი), ესე იგი ეკლესიაში წამოსასხმელი ანაფორა, რომელიც დაუჯდა თითქმის 200 მანეთამდინ.

მსენი ყოველივე მოიტანა მამა ბ.—მ შოთის ეკლესიაში და მანახელნი დაამტკიცებენ—როგ. არათაც გააბრწყინვა-ლა ესე ახლად აშენებული ცარიელი ეკლესია.

რამდენიმე წელიწადი ხსენებულთი მამა იყო მღვდლათ შოთში.

აგერ თითქმის იქმნება სამი წელიწადი, რაც მამა ბ.—მ დატოვა შოთი და იმყოფებოდა მეთაისში, ბორში და მთილისში. უკანასკნელათ შოთიღგან გამოსვლის დროს, ყოველივე ეკლესიის ნივთები ჩაუზარებია იქაურ სტაროსტისათვის (იორცუებისათვის).

შოთელებმა იციან, რომ მამა ბ.—ეს დროს უკანასკნელი ერთი ხუთჯერ მაინც გასტენეს შოთის ეკლესია და წაიღეს ქურდებმა; ზოგი იბოვეს, ზოგი დაიკარგა. ახლა იფიქრეთ, იქ რაღა დარჩებოდა?


ბათუმის ალბიღგან ხსენებულთი მამა ბ. გამომწესდა ბათუმში. აქ იყო ერთი პატარა ოთახი, რომელიც არაფერს არა გვანდა, შიგ სრულიათ ცარიელი, ერთი ორი-სამი საჭირო ნივთები, ისიც პლამაჰმადხანის დროისა, დაობებულები. ამ ჩვენმა მამა ბ. არაფრისაგან ააშენა ერთი სრულიათ ახალი, ხის, მშვენიერი ეკლესია, რომელშიაც დღეს არის წირვა-ლოცვა, მორთო ის ყოველივე სამკაულით, რაც რომ საჭირო იყო, სრულათ ახლებით, ზარებით, ხატებით ჯვრით და ვარაგურით, სამწირვალო ტრაპეზის ფარდით,—ერთი სიტყვით ყველაფრით. არაფერს არა ეხედავთ ჩვენ ამ ეკლესიაში შოთის ეკლესიისას, გარდა ამ ზემო-ხსენებულთი ანაფორისა უფ. შ—ისაგან შეწირულისა; ამას დამიმტკიცებენ მნახველნი ამ ეკლესიისა.

მაშასადამე ძრიელ შემცდარი ბრძანდება ჩვენი შოთის უგვარო ავტორი, რომელიც ამისთანა უსაფუძვლო და დაუფიქრებელ ცილის-წამებას სწერს გაზეთში ჩვენს მღვდელზედ. ამისთანა შემთხვევებისათვის არის სასულიერო მთავრობა და თუ მართლა წამოღებულთი ჰქონია რამე, შეეძლო ეჩივლა და მოეთხოვა. შექველია, მოსთხოვდა ამას მთავრობა სრულათ.

არამც თუ მართა ჩვენს უგვარო ავტორს, არამედ შოთში მცხოვრებლებს სომხებს არც ერთს არ ეთქმით ნამდვილი სომხობა. ბვარის მოყვარულნი ესენი მართოკა სიტყვით არიან და არა საქმით. წელიწადში თექვსმეტს მღვდელს იცვლიან, მოჰყავთ, აწუხებენ სასულიერო მთავრობას და მთავრობაც გზავნი; ბოლოს შოთში ხედამენ—რა გვარ ხალხთან უჭირამთ საქმე და როგორი სომხები არიან და ერთი კვირის შემდეგ უკანვე მიდიან.

ივანე ალიბეგოვი

ბათუმი, 22 ივნისს.



საბაასო

ჭუთაისის სატუსალო კომიტეტის სამკრებარს.

(დასასრული)

მკითხველმა იქნება იფიქროს და სთქვას, რომ სატუსალო ციხის ზედამხედველი რატომ 10 კაპ. ანგარიშით არ იწერდა პოდრიადნიკებთან ხორაგსაო. ეს არ შეიძლებოდა, ძომიტეტის წესდება ნებას არ აძლევდა. ეს წესდება იმისთანა წესდებაა, რომ ყოველს თვეს უეჭველად, ეკონომია უნდა მორჩილ: 40, 50, 60 70 მანეთი.

მხლა კიდევ ვკითხავ უ. ს. აბულაძეს: სად წავიდა ის მორჩილნი ათას ოთხას მანეთზე მეტი ეკონომია? ძომიტეტს ხომ, კანონით (XIV т. Уст. о код. под. стражею. ст. 84) ეს ფულები უნდა მიეერთებინა თავის თანხის ფულებთან? ნუთუ უ. ს. აბულაძემ პოდრიადნიკებს უანგარიშოთ მიუწყო ის ფულები? არა! არა! ეს არ შეიძლებოდა. უეჭველად ესა უნდა მომხდარიყო: უ. ს. აბულაძემ პოდრიადნიკებს კვიტანციებს ჩამოართმევდა, რომ იმათ მიიღეს ხორაგის ფასი იმდენი, რამდენიც ხაზინიდან გამოსულა. პოდრიადნიკები თავის ხორაგის ფასს წაიღებდნენ, დანარჩენს სხვა ვინმე ჩაიჯიამ მოაზრებას მიბდავს ერთი ანობავდა.

რებული ფაქტი: უ. ს. აბულაძე სატუსალო ციხის ეკლესიის დიაჩოქს ი. ილორე სვანაძეს ხელს აწერიებს ერთს კვიტანციასზე, რომ იმან, სვანაძემ, ვითომ მიიღო ს. აბულაძისაგან 175 მანეთი, მაგრამ ყურ განგრეტილი ფარაც არ მიუღია. რა იყო ეს 175 მანეთი? მოგახსენებთ: უ. ს. აბულაძე ატყუებდა ისილორე სვანაძეს, ვითომც 175 მანეთი დიაჩოქის ჯამაგირია, რომელიც ერთად უნდა გამოიტანოს და შემდეგ უნდა მისცეს. დიაჩოქი, ცოტა არ იყოს შეფიქრებულა: უ. ს. აბულაძემ ხომ არაფერი ხრიკი არ მიყოფო. უკითხავს სხვებისათვის. მაუგია ყოველად სამდღელო მამრიელ ვისკოპოზს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ 175 მანეთი დიაჩოქის ჯამაგირი კი არ ყოფილა, არამედ სატუსალო ციხის კარის გამღების. აი როგორ: რამდენიმე წლის წინეთ სატუსალო კომიტეტს შეძლება არა ჰქონია, რომ სატუსალოსთვის კარის გამღებლები დაეჭირავენ; მთავრობას ექნა განკარგულება, რომ სალდათები დაეყენებიათ კარის გამღებლებთან; სალდათებს სამსახურიც ეთვლებოდათ და მასთან იმ ხარჯზე და იმ ჯამაგირზე იყენენ, როგორც ყაზარმაში. შემდეგ მთავრობას დაენიშნა ჯამაგირი ოც-ოც-და ხუთი მანეთი კარის გამღებზე. ძომიტეტს ამის შემდეგ სალდათები უნდა დაეთხოვნა (ორი სალდათი ყოფილა), მაგრამ ძომიტეტის გამგებელს (რასაკვირველია, ს. აბულაძეს) ეს სალდათები ორ წლამდინ გაეჩერებია.

წარმოიდგინეთ, ჩვენი პატიოსანი დეკრეტით „შობილი ჩინოვნიკი“ ს. აბულაძე სალდათებს ართმევს კვიტანციებს, რომ იმათ მიიღეს ხეველი ჯამაგირი, ოც-ოც-და ხუთი მანეთი, მაგრამ სალდათები „ნაოტკის“ მეტს არაფერს ღებულოდნენ. ისილორე სვანაძის არ იყო, ამ სალდათებმაც იკითხეს, ეს რა ამაგია, რომ ს. აბულაძე ოც-ოც-და ხუთ მანეთის კვიტანციებზე ხელს გვაწერიებს და „ნაოტკის“ ფასს გვაძლევსო. სამხედრო მთავრობამდის მისულა ეს ამაგია. შემდეგ ამ მთავრობას გაუგია, რომ კომიტეტისათვის სალდათები სრულიად საჭირო არ ყოფილან, რადგან შეძლება მისცემა სხვები დაეჭირავენბიაო. მაშინაც-ღეს სალდათები უ. ს. აბულაძეს. დარჩა 175 მანეთი კვიტანციების გარეშე, რადგან სალდათებმა ხელი აღრ მოუწერეს კვიტანციებზე, ჩვენმა ს. აბულაძემ მაინც მოახერხა. მიიხმა დიაჩოქი ი. ილორე სვანაძე და მოაწერინა ხელი. უეჭველია, უ. ს. აბულაძე ამნაირ კვიტანციებს ჩამოართმევდა პოდრიადნიკებსაც. თამამათ იმიტომაც იძახის: სულ დაიხარჯაო.

II

უ. ს. აბულაძე თავის გასამართლებელ წერილში ამბობს, რომ ტუსალები-საგან არაერთი საჩივარი ძომიტეტში არ შემოსულა ცუდი სასმელ-საჭმელის თაობაზე, რასაც ჩაიარაშვილი სწერსო. დასამტკიცებლად ამისა ლაპარაკობს ამნაირათ: სატუსალო ციხეში დაიარებია დირექტორები; მათს რიცხვში პროკურორი და პოლიციმესტერიო. თუ რამე საჩივარი ჰქონდათ არესტანტებს, უეჭველად ამათ მოახსენებდნენო... და რა საჩივარი უნდა მოეხსენებიათ, როდესაც ტუსალებს ეძლევათ: „ХЛѢБЪ БѢЛЫЙ, СВѢЖІЙ, НЕ-ПРЕСНЫЙ, ХОРОШО ВЫПЕЧЕННЫЙ ИЗЪ ТУЗЕМНОЙ ПШЕНИЧНОЙ 2-го сорта МУКИ...“

ამ წლის სამს იანვრიდან ტუსალებს ეძლევათ ღღეში, როგორც მკითხველებმა უკვე იცხან, ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი კაპიკი. ღიდის ვაი-ვაგლანით პირველის თებერვლიდან ტუსალებს მოუმატეს ნახევარი გირვანქა პური; მარტის 29 რიცხვიდან-გირვანქის მეოთხედი ლობიო; ოთხის აპრილიდან ხარ-ძროხის თავის ძელები გამოუცვალეს და დაუნიშნეს მეორე სორტის ხორცი (გირვანქის მეოთხედი). მე ვამბობ დიდის ვაი-ვაგლანით მეტქი, თორემ ტუსალებს იმისთანა ცუდი ხარჯი ექნებოდათ, როგორც თავიდან დაწყებული 1870 წ. ამ წლის პირველს თებერვლამდის ჰქონდათ. დასამტკიცებლად ამისა, მე ვსთხოვ უ. მესტატე იოსელიანს, რემელსაც ჩემი კორრესპონდენციების დაწერას აბრალდებდნენ ხოგერებები, სინილისის წინაშე სთქვას—განუცხადეს თუ არა ტუსალებმა უ. პროკურორს და პოლიციმესტერს საჩივარი სასმელ-საჭმელის თაობაზე? სთქვას აგრეთვე—რა მიზეზი იყო, რომ ერთმა ყარაულის უფროსმა სამხედროის, უფროსს

(Воинскому начальнику) ტუსალებს აპირებენო. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ იმასაც შეგვატყობინებს (რასაკვირველია, ბეჭედით): ტუსალებმა რამდენჯერ დაუბრუნეს ამ წელში მეპურეს უ. ს. აბულაძას „თეთრი, ახალი, კარგი გამომცხვარი და სხ, პური?“

როცა ამ ცნობებს შეგვატყობინებს უ. მესტატე იოსელიანი, მე შეუდგები დამტკიცებას, როგორი პური ეძლეოდათ წარსულ წლებში ტუსალებს და როგორი ეძლევათ წელსაც თუ აღმოვაჩენს რამე უკმაყოფილოდ.

III

სატუსალო ძომიტეტის დაარსებიდან, ამბობს ს. აბულაძე, ყოველ წლებით ხდება კანონიერი ვაჭრობა და ინიშნება პოდრიადნიკები—რა ფასათ უნდა აძლიონ ძომიტეტს ხორაგი ტუსალებისთვის. პოდრიადნიკობას არც მე ვეწვიო და არც ძომიტეტი კისრულობსო. მართალი ბრძანდებით, უ. ს. აბულაძე, მართალი. მე თუ ვსთქვი, რომ უ. ს. აბულაძე პოდრიადნიკიც ბრძანდება მეტქი, ეს იმიტომ, რომ იძულებული ვიყავი, და რა მაიძულებდა, ამას ვხლავე მოგახსენებ. როცა კანონიერი ვაჭრობა (ჩემებურათ—ფორმალური ვაჭრობა) ინიშნება, ვაჭრობის დროს თქვენ ბევრს ალიან-ჩალიანს ჩადიხართ. ავიღოთ შარშანდელი ვაჭრობა. სატუსალო ძომიტეტს ურავდებოდა ერთი მეპურე ფუთ პურს მანეთად და ექვს შაურათ. თქვენ უარზე დადექით, ერთობ ძვირიაო. იმდენი იმეცადინეთ, იმდენი იჯანჯლეთ, რომ სხვა მეპურესთან მარაგეთ ძომიტეტი მანეთად და ათ შაურათ! პური კი იმისთანა უნდა ყოფილიყო, როგორსაც მანეთად და ექვს შაურათ ხსენებული მეპურე იძლეოდა. ავიღოთ ვხლა ლობიო. პოდრიადნიკს აძლებინა უ. ს. აბულაძემ ფუთი ლობიო ორ მანეთად, როდესაც რომ ჭუთაისში ფუთი ლობიო ექვს აბაზე მომეტებულად პოდრიადით არ აიღებოდა. ასი მანეთი კი არა, რატომ ორასი მანეთი საჩუქარი არ გერგებათ, ძომიტეტის ინტერესებს ასე გულ-მოდგენით იცავთ. მაშ როგორ უნდა მეთქვა თქვენზე, უ. ს. აბულაძე, პოდრიადნიკების როლს თუ არ თამაშობთ, მაშ რა სახელი დაგარქვა ამ შემთხვევაში?

IV

მხლა ის თქვენი ასი მანეთი, რომელიც საჩუქრათ კი არა, ჯამაგირში მივიღიათ. მეთოთხმეტე ტომი თავიდან ბოლომდის წავიკითხე. მე არსად შევხდომივარ, რომ ძომიტეტის წარმომადგენლების (პრეზიდენტების, ვიცე-პრეზიდენტების, დირექტორების და სეკრეტარების) ჯამაგირზე რამე ყოფილიყოს მოხსენებული გარდა იმისა, რომ იმათ სახელმწიფო სამსახური ეთვლებათ, სხვა არაფერი. და თუ 1875 წელს ძომიტეტის გარდაწყვეტილებით თვეში ოც-ოცი მანეთი ჯამაგირი გაქვსთ დანიშ-



ნული, მღვდლის ჯამაგირი ხომ უფრო აღრეც იყო გარდაწყვეტილი მოძიებ- ტიანგან. რა მიზეზით მოხდა, რომ თქვენ კი მიიღეთ ასი მანეთი ჯამაგირი და სა- ტუსალო ცინის მღვდელი კი რიყეზე დარჩა? თუ ამოიტეტს შეძლება არა ჰქონდა, უფრო უკეთესი არ იქნებოდა, იმ ასი მანეთიდან ნახევარი თქვენ წა- გეღოსთ და ნახევარი მღვდელს? არც მწვადი დაიწვოდა და არც შამფური. თქვენ ხომ უთმისთაც სხვა ჯამაგირი გეძლეოდით და ცხოვრების საშუალება სხვაც ბევრი გქონდათ. საცოდავი! მღვ- ლი ლუკმა-პურის მოსაპოვებლათ აქ- იკით კი დარბოდა. ამ მიზეზით არ მა- ხდა, რომ ერთი ტუსალი უზღვრებლათ მოკვდ ? მაკრამ თქვენთვის სულ ერ- თია...

მრთს კიდევ მოგახსენებთ, და შემ- დევ თავს გაგანებებთ დროებით; კმარა ამდენი ლაპარაკი, „დროების მკითხე- ლებს გული გაუწვრილდება. თქვენ ბრძანებთ „თფილისის მოკამბეში“, რომ 1873—1876 წლებში მორჩა ათაა ოთხ- ხასი მანეთი კი არა, არამედ სამი ათას მანეთზე მეტი ეკონომია. ეს კიდევ უ- კეთესი! ამ სამი ათას მანეთს მუშაობთ ათას ოთხასი მანეთი, რომელიც ზევით დავიმტკიცეთ. იქნება ოთხი ათას მანეთზე ძვირათ მეტი. მსლა შეგვატყო- ბინეთ სრული ინგარიში, რამდენი თუ- მანი დახარჯეთ ტუსალებისათვის, საუფლო დღესასწაულებზე. თქვენ ხომ ბრძანებთ, რომ სამი ათას მანეთიდან რამდენი ე- დაიხარჯას სასმელ-აჭყელის გაუმჯობე- რებისათვის? აბა ჯერ თქვენ ინგარი- შით და მერე მე ინგარიშებზე ჩემი ან- გარი იქნება აი რა: იმ ოთხი ათას მან- ეთიდან წყლისათვის რამდენი დაგ ხარ- ჯავს; რამდენი თუმანის მომეტებუ- რით უფლა მიგიტიათ ტუსალებისათვის. ან- გირი შუბი მოვიხსენიებ სარკოციკლამ რამდენი თუმანი შემოაუღლა ამოიტეტ- ში ტუსალებისათვის მოსახმარათ საუფ-

ლო დღესასწაულებზე. მოვიხსენებ აგ- რეთვე, მარშან სააღდგომოთ რომ უ- მუთარის გუბერნატორმა მალაჩევემა თავის ჯიბიდან ტუსალებს დაახარჯა. ამას ყველას სულ არითმეტიკულათ ვიანგარიშებ.

ჩაიარაშვილი.
მუთისი, 20 ივნის

გუზირაში, სოფელს ხლის-თაში გა- ხსენი სტალიარის ქარხანა. ვაკეთებ ყოველ გვარ კარგ მეველს, იაფ ფასად- სურველ, შეუძლიან მომართოს მღვდ- ლილივე ძალანდაძის სახლში.

სმარაშიონ კალანდაძე

(5--4)

ვისაილოვის ტენიკურ-რკინის გზის სასწავლებლის რჩევისაგან

„მხილოვის ტენიკურ-რკინის გზის სასწავლებლის მზრუნველი რჩევა“ ამით აღხადებს, რომ ვისაც ამ სასწავლებელში შესვლა ჰქურს, იმათთვის მისაღები ეგზამენები იქნება ამ წლის აგვისტოს 16-დამ ეიღრე 31-დინ. თხოვნა უნდა შე- იტარონ სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზე (მორონცოვის წყლის-პირა ქუჩა, სასწავლებლის სახლი). თხოვნების შლება ივლისის 15-დამ დაიწყება და 10 აგვისტოს გათავდება. თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს დაბადების (მეტრიკული) მოწმობა და აგრეთვე მოწმობა ყვეილის აკრისა.

ვისაც მოსაზადებელ კლასში შემავლა ჰქურს, იმას მოეთხოვება: სამღეთო წერილიდან—უმთავრესი ლოცვები, რუსული ენიდან—თავისუფლად წერა-კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვი- თქმა, და არიო მეტიკიდან—პირველი ოთხი მოქმედება.

ვისაც პირველ სპეციალურს კლასში ჰქურს შემავლა, იმას მოეთხოვება: სამღეთო წერილიდან—ძველი აღთქმა, რუსული ენიდან—სინტაქსისი და ეტიმოლოგია, არითმეტიკიდან—პრაპორციებამდინ, გეოგრაფიიდან—პირველი წლის კურსი (სიმონოვის სახელმძღვანელოდან) და რუსეთის ისტორიიდან—რომანოვის სასახლემდინ. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან ყმაწვილები 13 წლიდან 16 წლამდინ; სპეციალურს კლასში კი 14 წლიდან 18-მდინ. სწავლა ფასი წეოიწად—ერთი თუმანა. სასწავლებლების შევირდებს შეუძლიანთ თვეში 4 მანეთად და 50 კაპ. აქვე- სტამონ სადილი. (3—1)

რპ. გზა.	დოლა.	სალაბ.	II კ.	III კ.	თელავრაში	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამაშურნალო
თფილისი	921	518	3	კაპ. 8. კაპ.	მცხეთის მთილისიდან		თფილისი 22 ივნ-სს.		მრეწვ. ს. შ. დანზე
მცხეთა	1011	627	85	44	ქაჯასის აქთა მზრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	220	სახლებში.
ზორი	1158	943	3	153	ქალაქებში	50	შქვ. წითელი	155	აგათმოფებს მიიღებენ ყოველ
ხ. შური	129	1157	473	242	როსტოვს, მდვასს, მ. კოვს.	2	შქვ. ფუთი	135	დღე დილის 9 საათიდან 1-დინ
სურამი	144		490	261	პეტერბურღს, მარშავ	2	ბაბა მრეწვისა, ფუთი.	730	მ. რ. შ. ა. ბ. ს. მერმიშვილი და
შქრილა	549		721	369	მსხალეში, შვეიცარიაში	3	—პაგრიკისა, ფ. თ. ს.	850	ბარ ლევიან—შინიგ. ავთ. მ. იუჩი-
რანი	657		844	431	იტალიაში და საფრანგეთში	350	ბაენტილი-ბაბა ფუთი.	1070	რაინც—ქალის ექიმი და ს. შუ-
სამტრედია	751		966	493	ინგლისში	375	მატყელი თუმური ფუთი.	8	ლოსნოს ოპრ-ცემი.
ახალ-სენაკი	843		1071	547	ზოგად		—თრაქამსა ფუთი	4	საშ. შ. ა. ბ. ს. მერმიშვილი—ში-
ფთი	950		1224	626	ა) თფილისიდან: სამზღვარ-გა- რეთ, მუთისს, რუსეთს—ფშვლ დღევირს ვარდა ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. შურ. —მარასკ, და ორშ. ქა- ხეთს—საშ. და შაბ. ბ) მუთაი- ილამ: მფლ. სისა და შოთისაქენ— ყოველ დღე კვრას გარდა. მ. შურ- გეთს—ორშ. და პარასკ.		—პაგრიკისა, ფ. თ. ს.	210	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
ფთი	9	3					—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
ახალ-სენაკი	1014		153	78			—პაგრიკისა, ფ. თ. ს.	210	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
სამტრედია	115		261	133			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
რანი	1213		384	197			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
შქრილა	118	ლაშვ. 5	3	256			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
სურამი	512		1107	374			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
ხ. შური	539		1377	384			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
ზორი	75		489	24			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
მცხეთა	850		659	39			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და
თფილისი	931		76	24			—თრაქამსა ფუთი	4	ნაგ. ა. ბახუთოვი—საბებიო და